ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1631880

ნომერი: AR1268538

თარიღი : 26.11.2014

გაცემის თარიღი : 08.12.2014

გაცნობის თარიღი : 11.12.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამტრედია , N 37 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა თარხნიშვილი პ/ნ 01024012324
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 27 ბ. 55

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1358950
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 11.07.2014

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ვაჟა ტარასაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "გური"

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 201945609

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "გური"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 201945609
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ანა თარხნიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024012324

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 836.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 609.3
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 4531.7
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 2638.1
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 587.3
- .მანსარდის ფართობი (კვ.მ).: 198.8
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 264.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 843.5
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 11958.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 10480.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1477.2
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 44.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 41.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 387.7 0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 3211.0 3.8
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 87.5 0.1

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს საპროექტო ობიექტის ვიზუალურ მხარეზე საჭიროა წარმოდგენილ იქნას მაღალი ხარისხის კომპიუტერული ვიზუალიზაცია (რენდერები და ფოტომონტაჟები), მოსაპირკეთებელი მასალების და ფერის დეტალური განსაზღვრით (ფაქტურები და ფერები ასახული იყოს რეალურად).
2. ველში –> საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული დასკვნა –> ატვირთეთ კონსტრუქციული დასკვნა მომიჯნავე შენობების (მომიჯნავე საკადასტრო ერთეულ(ებ)ის და მისამართის დაფიქსირებით) არსებულ ტექნიკურ მდგომარეობასა და არსებული შენობების დემონტაჟის და საპროექტო შენობის მშენებლობის პროცესში მათზე ზეგავლენის შესახებ, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელისმოწერით დადასტურებული და შეავსეთ ექსპერტის მონაცემები; იმ შემთხვევაში თუ დასკვნაში მოთხოვნილი იქნება რაიმე სახის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება მშენებლობის და დემონტაჟის პროცესში დამატებით წარმოდგენილ იქნას გამაგრების პროექტი და კალენდარულ გრაფიკში ეტაპის სახით ასახული გამაგრებითი სამუშაოები;

გაითვალისწინეთ იმ შემთხვევაში თუ გამაგრება შეეხება მომიჯნავე შენობებს საჭიროა დამატებით ატვირთულ იქნას მათი მესაკუთრეების შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე;

3. დამატებით ფაილში ატვირთეთ იჯარის ხელშეკრულებები და საჭიროების შემთხვევაში მოიჯარეების შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე.

4. არსებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის ტერიტორიის კეთილმოწყობის გეგმა. -> .ტერიტორიის კეთილმოწყობის გეგმის pdf ფაილი.: ატვირთული ინვენტარიზაციის გეგმა არ შეესაბამება ატვირთული ტოპოს ხე-ნარგავების რაოდენობის და ადგილმდებარეობის ნაწილში. ამასთან აღნიშნულ ველში ატვირთეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე.

5. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში).: არ შეესაბამება გადამოწმების შედეგად მიღებულს, აღნიშნული უნდა დათვალოთ მიწისპირა სართულის კოლონების გარე კონტურზე.

6. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : არასწორია, აღნიშნულში უნდა შეიყვანოთ ყველა ლიჯია 1/2-ით.

7. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი; შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი; შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: "1-5", ა-ე" და "ე-ა" ღერძებში განთავსებული ღიობებიდან, აივნებიდან და ტერასებიდან დაიტანეთ საკადასტრო საზღვრამდე დაშორების მანძილები, გაითვალისწინეთ მიჯნის ზონაში აივნებიდან საზღვრამდე მინიმალური დაშორების მანძილი უნდა იყოს 1.8, ხოლო ტერასებიდან 3მ.; მოქმედი ნორმების შესაბამისად სამანქანო ღია პანდუსის % არ უნდა აღემატებოდეს 14%–ს, შესაბამისად განაახლეთ პროექტი და გრაფიკული ნაწილი; ასევე სახურავის გეგმაზე დაიტანეთ წყალშემკრები მილები.

8. საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: განაახლეთ ხარვეზების შესაბამისად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.